



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: 12-01190392793
 თარიღი: 08/02/2019
 პინი: 9167

აღრესატი: შპს ჯეუ გრუპი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 205251537

მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, მოედანი 26 მაისის, N2, შენობა N1, VI სართული

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის 2019 წლის 7 თებერვლის N14-01190384132 წერილიდან ირკვევა, რომ თქვენ მიერ დარღვეული იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან 2019 წლის 30 იანვარს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N01.01.01/10/36 ხელშეკრულების (ქ. თბილისის ბიუჯეტის სახსრებით, ქ. თბილისში, თბინვალასა და ვარაზის ქუჩებიდან სოფ. აგარაკამდე მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა) პირობები. კერძოდ, ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.3 პუნქტის შესაბამისად, კალენდარული გეგმა-გრაფიკი უნდა წარმოგედგინათ და შემსყიდველთან შეგეთანხმებინათ, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში (2019 წლის 4 თებერვლის ჩათვლით), თუმცა, ზემოაღნიშნული გეგმა-გრაფიკი თქვენ მიერ წარმოდგენილი იქნა 2019 წლის 5 თებერვალს, ვადის გადაცილებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N01.01.01/10/36 ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო, ამავე ხელშეკრულების მე-8 მუხლის 8.4 პუნქტის შესაბამისად, კალენდარული გეგმა-გრაფიკის ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში შემსყიდველთან წარმოუდგენლობისა და შეუთანხმებლობისათვის, გეკისრებათ ჯარიმა ერთჯერადად, ხელშეკრულების ღირებულების (1039200.44 ლარი) 0,06%-ის ოდენობით, **623.53 ლარი**.

გთხოვთ, უმოკლეს ვადაში გადაიხადოთ საჯარიმო თანხა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვებისა და საფინანსო საქალაქო სამსახურებში წარმოადგინოთ ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია იტოვებს უფლებას თქვენ მიმართ გაატაროს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებები.

გადახდის რეკვიზიტებია: მიმღები – სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში GE24NB0330100200165022; სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: TRESGE22; შემოსავლების სახაზინო კოდი **300773287**.

პატივისცემით,

გიორგი პაპავა

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

